საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 3

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

04 მარტი 2025 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. დავით ცხადაძე; 9. ეკა ბერძენიშვილი,10. გიორგი ბარათაშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, იურისტი ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცებ ის შესახებ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28250574 წერილი, 26.02.2025 წ)

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და შესასწავლად დაეწერა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება (N 19/29250271-29, 27.01.2025 წ.),(ინიციატივა), გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ, კერძოდ: (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩისათვის გივი(გიგა) სახელის მინიჭების თაობაზე, რომელიც გმირულად დაიღუპა საქართველოში, რუსეთსა და საქართველოს შორის გამართულ საომარ მოქმედებებში, ე.წ. 2008 წლის აგვისტოს ომში.

მომხსენებლის განმარტებით, იურიდიულ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 04 თებერვლის სხდომაზე განიხილა ინიციატივა, შეისწავლა თანდართული დოკუმენტების სისრულე და თვლის, რომ წარმოდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები: გმირულად დაღუპული გივი სახელაშვილის ბიოგრაფიული ცნობები, ჯილდოს შესახებ ინფორმაცია-დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, სახელდების ინიციატივის მოტივაცია და დასაბუთება, შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა (ორთოფოტო, ქუჩის მდებარეობა XY კოორდინატების მითითებით), რაც არის შემდგომი პროცედურების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

მომხსენებლის განმარტებით კანონმდებლობა ავალდებულებს შესაბამის კომისიას გამართოს კონსულტაციები საკითხის ირგვლივ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ განხორციელდა 2025 წლის 10 თებერვალს 14:00 საათზე, რაც დასტურდება მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ამსახველი ოქმით და კონსულტაციაში მოსახლეობის მონაწილეობის მიღების სარეგისტრაციო ფურცლებით, სადაც დატანილია ხელმოწერები (სულ 67 კაცი). ადგილობრივი მოსახლეობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გივი სახელაშვილს აქვს დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე და მისი სახელის უკვდავსაყოფად უნდა მიენიჭოს კვახჭირის ქუჩას მისი სახელი.

მომხსენებლის განმარტებით, პროცედურა ითვალისწინებს საკრებულოს შუალედური გადაწყვეტილების მიღებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ. შესაბამისად წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც უნდა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დამტკიცების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულომ მიზანშეწონილად უნდა მიიჩნიოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭება.

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

2. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემკომისიისსხდომასგააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასის ტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“დადგენილების პროექტი;

როგორც მოგეხსენებათ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შექმნან ისეთი გარემო და პირობები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავად შეძლებენ საკუთარი ცხოვრების წესის არჩევას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, ისევე, როგორც ამას სხვა ადამიანები აკეთებენ.

2022 წლის 18 თებერვალს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-13/ნ ბრძანებით დამტკიცებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან,2025 წლიდან უზრუნველყონ პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამული გაწერა, სერვისის მოცულობის განსაზღვრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისი მიწოდების წესების შემუშავება, სერვისის მიწოდება.

მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისების პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.

პროგრამის ამოცანაა პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: